**სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

**24 / ნოემბერი / 2025 წ.**

KA011796793900325

№ **265705**

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**ახალციხის მუნიციპალიტეტის პამაჯის, ფერსასა და წყრუთის ადმინისტრაციულ ერთეულებში, ახმეტის მუნიციპალიტეტის ქალაქ ახმეტაში, ბაღდათის მუნიციპალიტეტის დიმისა და საირმეს ადმინისტრაციულ ერთეულებში, გორის მუნიციპალიტეტის ქალაქ გორში, მეჯვრისხევის, ზეღდულეთის, კარალეთის, ბერბუკისა და ახალუბანის ადმინისტრაციულ ერთეულებში, გურჯაანის მუნიციპალიტეტის კარდენახისა და ჭანდარის ადმინისტრაციულ ერთეულებში, დუშეთის მუნიციპალიტეტის ჭოპორტის, ბაზალეთის, ჭონქაძისა და მჭადიჯვარის ადმინისტრაციულ ერთეულებში, ვანის მუნიციპალიტეტის სულორის ადმინისტრაციულ ერთეულში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდსა და ნარაზენის ადმინისტრაციულ ერთეულში, თელავის მუნიციპალიტეტის ქალაქ თელავში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის ზედა საზანოს, ბარდუბანისა და რუფოთის ადმინისტრაციულ ერთეულებში, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ჟახუნდერისა და ჩიხარეშის ადმინისტრაციულ ერთეულებში, მარნეულის მუნიციპალიტეტის ალგეთის, კაჩაგანის, ყულარისა და კაპანახჩის ადმინისტრაციულ ერთეულებში, მარტვილის  მუნიციპალიტეტის ქალაქ მარტვილში, დიდი ჭყონისა და აბედათის ადმინისტრაციულ ერთეულებში, სიღნაღის მუნიციპალიტეტის ვაქირის, წნორის, ჯუგაანის, ბოდბისხევისა და საქობოს ადმინისტრაციულ ერთეულებში, ტყიბულის მუნიციპალიტეტის კურსების ადმინისტრაციულ ერთეულში, ქარელის მუნიციპალიტეტის ზემო ხვედურეთის, ზღუდერისა და ბრეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ლიას ადმინისტრაციულ ერთეულში, ჭიათურის მუნიციპალიტეტის ქვაციხეს, კაცხის, ხრეითის, ვაჭევისა და რგანის ადმინისტრაციულ ერთეულებში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ახალშენის ადმინისტრაციულ ერთეულში, მცხეთის მუნიციპალიტეტის ქალაქ მცხეთაში, ცხვარიჭამიასა და საგურამოს ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოებისა და სარეგისტრაციო დოკუმენტაციის მომზადების საფუძველზე შედგენილი მესაკუთრეთა/საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირთა და მოსარგებლეთა მონაცემების მქონე საკადასტრო რუკის საჯარო გაცნობისათვის გამოქვეყნების შესახებ**

„მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გამოიცა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის № 798 ბრძანება, რომლითაც სისტემური რეგისტრაციის გეოგრაფიულ არეალად 59 მუნიციპალიტეტი, ხოლო სისტემური რეგისტრაციის ვადად 2022-2025 წლები განისაზღვრა.

მიწის სისტემური რეგისტრაციის გეოგრაფიულ არეალებში საველე და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების დაწყების გრაფიკი დამტკიცებულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ (შემდგომში - „საჯარო რეესტრი“) თავმჯდომარის 2022 წლის 22 თებერვლის №329/ს ბრძანებით. აღნიშნულ ბრძანებაში საჯარო რეესტრის თავმჯდომარის №2915/ს ბრძანების საფუძველზე, 2022 წლის 2 ნოემბერს განხორციელდა ცვლილება და დადგინდა საველე სამუშაოების დაწყების და დასრულების ახალი გრაფიკი.

„მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის პამაჯის (ზონა: 62; სექტორი: 14), ფერსასა (ზონა: 62; სექტორი: 03)  და წყრუთის (ზონა: 62; სექტორი: 07) ადმინისტრაციულ ერთეულებში, ახმეტის მუნიციპალიტეტის ქალაქ ახმეტაში (ზონა: 50; სექტორი: 04), ბაღდათის მუნიციპალიტეტის დიმისა (ზონა: 30; სექტორი: 07)  და საირმეს (ზონა: 30; სექტორი: 18) ადმინისტრაციულ ერთეულებში, გორის მუნიციპალიტეტის ქალაქ გორში, (ზონა: 66; სექტორი: 45) მეჯვრისხევის (ზონა: 66; სექტორი: 53), ზეღდულეთის (ზონა: 66; სექტორი: 55), კარალეთის (ზონა: 66;

სექტორი: 46), ბერბუკისა (ზონა: 66; სექტორი: 54) და ახალუბანის (ზონა: 66; სექტორი: 52) ადმინისტრაციულ ერთეულებში, გურჯაანის მუნიციპალიტეტის კარდენახისა (ზონა: 51; სექტორი: 15) და ჭანდარის (ზონა: 51; სექტორი: 11) ადმინისტრაციულ ერთეულებში, დუშეთის მუნიციპალიტეტის ჭოპორტის (ზონა: 71; სექტორი: 64), ბაზალეთის (ზონა:71; სექტორი: 56), ჭონქაძისა (ზონა: 71; სექტორი: 63) და მჭადიჯვარის (ზონა: 71; სექტორი: 61) ადმინისტრაციულ ერთეულებში, ვანის მუნიციპალიტეტის სულორის (ზონა: 31; სექტორი: 18) ადმინისტრაციულ ერთეულში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდსა (ზონა: 43 სექტორი: 31) და ნარაზენის (ზონა: 43; სექტორი: 12) ადმინისტრაციულ ერთეულში, თელავის მუნიციპალიტეტის ქალაქ თელავში (ზონა: 53; სექტორი: 20), თერჯოლის მუნიციპალიტეტის ზედა საზანოს (ზონა: 33; სექტორი: 18), ბარდუბანისა (ზონა: 33; სექტორი: 06) და რუფოთის (ზონა: 33; სექტორი: 11) ადმინისტრაციულ ერთეულებში, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ჟახუნდერისა (ზონა: 87; სექტორი: 06) და ჩიხარეშის (ზონა: 87; სექტორი: 07) ადმინისტრაციულ ერთეულებში, მარნეულის მუნიციპალიტეტის ალგეთის (ზონა: 83; სექტორი: 03), კაჩაგანის (ზონა: 83; სექტორი: 11), ყულარისა (ზონა: 83; სექტორი: 08) და კაპანახჩის (ზონა: 83; სექტორი: 06) ადმინისტრაციულ ერთეულებში, მარტვილის მუნიციპალიტეტის ქალაქ მარტვილში (ზონა: 41; სექტორი: 09), დიდი ჭყონისა (ზონა: 41; სექტორი: 15) და აბედათის (ზონა: 41; სექტორი: 05) ადმინისტრაციულ ერთეულებში, სიღნაღის მუნიციპალიტეტის ვაქირის (ზონა: 56; სექტორი: 02), წნორის (ზონა: 56; სექტორი: 04), ჯუგაანის (ზონა: 56; სექტორი: 06), ბოდბისხევისა (ზონა: 56; სექტორი: 05) და საქობოს (ზონა: 56; სექტორი: 03) ადმინისტრაციულ ერთეულებში, ტყიბულის მუნიციპალიტეტის კურსების (ზონა: 39; სექტორი: 07) ადმინისტრაციულ ერთეულში, ქარელის მუნიციპალიტეტის ზემო ხვედურეთის (ზონა: 68; სექტორი: 17), ზღუდერისა (ზონა: 68; სექტორი: 09) და ბრეთის (ზონა: 68; სექტორი: 11) ადმინისტრაციულ ერთეულებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის (ზონა: 20; სექტორი: 37) ადმინისტრაციულ ერთეულში, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მუხურის (ზონა: 46; სექტორი: 10) ადმინისტრაციულ ერთეულში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ლიას (ზონა: 47; სექტორი: 02) ადმინისტრაციულ ერთეულში, ჭიათურის მუნიციპალიტეტის ქვაციხეს (ზონა: 38; სექტორი: 02), კაცხის (ზონა: 38; სექტორი: 03), ხრეითის (ზონა: 38; სექტორი: 01), ვაჭევისა (ზონა: 38; სექტორი: 04) და რგანის (ზონა: 38; სექტორი: 05) ადმინისტრაციულ ერთეულებში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ახალშენის (ზონა: 22; სექტორი: 23) ადმინისტრაციულ ერთეულში, მცხეთის მუნიციპალიტეტის ქალაქ მცხეთაში (ზონა: 72; სექტორი: 07), ცხვარიჭამიასა (ზონა: 72; სექტორი: 05) და საგურამოს (ზონა: 72; სექტორი: 06) ადმინისტრაციულ ერთეულებში განხორციელდა არსებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო აგეგმვა/აზომვა, მომზადდა საკადასტრო რუკები, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეთა/საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირთა და მოსარგებლეთა მონაცემების მითითებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. გამონაკლისს ადგენს კანონი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში. ამ კოდექსის 57-ე მუხლის თანახმად, საჯაროდ გამოცხადება ნიშნავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადმინისტრაციულ ორგანოში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე, ღიად განთავსებას. აუცილებლობის შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საჯაროდ გამოცხადდება აგრეთვე სხვა საჯარო ადგილას. „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სარეგისტრაციო ბლოკში საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოებისა და სარეგისტრაციო დოკუმენტაციის მომზადების დასრულებისთანავე, საკადასტრო აღწერის შედეგად შედგენილი საკადასტრო რუკა მესაკუთრეთა/საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირთა და მოსარგებლეთა მონაცემების მითითებით, საჯარო გაცნობისათვის ქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.napr.gov.ge), განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის ფარგლებში - განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის განმახორციელებლის ოფიციალურ ვებგვერდზე, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მუნიციპალიტეტში თვალსაჩინო ადგილზე, რაც შესაბამის დასახლებაში მცხოვრებ პირებს მისი გაცნობის საშუალებას მისცემს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად კი, დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკადასტრო რუკის გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში ერთჯერადად მიმართონ სააგენტოს ან განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის განმახორციელებელს მიწის ნაკვეთის საკადასტრო აღწერის კონკრეტული შედეგების გადამოწმების მოთხოვნით. ერთთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, უფლებები რეგისტრირდება საკადასტრო რუკაზე ასახული ინფორმაციის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიმდინარეობს მიწის ნაკვეთის საკადასტრო აღწერის კონკრეტული შედეგების გადამოწმება.

საჯარო რეესტრმა, იხელმძღვანელა რა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 და 57-ე მუხლებით, „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლითა და „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და

საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტისა და მისი განმახორციელებლის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №798 ბრძანებით,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საჯაროდ გამოქვეყნდეს ახალციხის მუნიციპალიტეტის პამაჯის (ზონა: 62; სექტორი: 14), ფერსასა (ზონა: 62; სექტორი: 03) და წყრუთის (ზონა: 62; სექტორი: 07) ადმინისტრაციულ ერთეულებში, ახმეტის მუნიციპალიტეტის ქალაქ ახმეტაში (ზონა: 50; სექტორი: 04), ბაღდათის მუნიციპალიტეტის დიმისა (ზონა: 30; სექტორი: 07) და საირმეს (ზონა: 30; სექტორი: 18) ადმინისტრაციულ ერთეულებში, გორის მუნიციპალიტეტის ქალაქ გორში, (ზონა: 66; სექტორი: 45) მეჯვრისხევის (ზონა: 66; სექტორი: 53), ზეღდულეთის (ზონა: 66; სექტორი: 55), კარალეთის (ზონა: 66; სექტორი: 46), ბერბუკისა (ზონა: 66; სექტორი: 54) და ახალუბანის (ზონა: 66; სექტორი: 52) ადმინისტრაციულ ერთეულებში, გურჯაანის მუნიციპალიტეტის კარდენახისა (ზონა: 51; სექტორი: 15) და ჭანდარის (ზონა: 51; სექტორი: 11) ადმინისტრაციულ ერთეულებში, დუშეთის მუნიციპალიტეტის ჭოპორტის (ზონა: 71; სექტორი: 64), ბაზალეთის (ზონა:71; სექტორი: 56), ჭონქაძისა (ზონა: 71; სექტორი: 63) და მჭადიჯვარის (ზონა: 71; სექტორი: 61) ადმინისტრაციულ ერთეულებში, ვანის მუნიციპალიტეტის სულორის (ზონა: 31; სექტორი: 18) ადმინისტრაციულ ერთეულში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდსა (ზონა: 43 სექტორი: 31) და ნარაზენის (ზონა: 43; სექტორი: 12) ადმინისტრაციულ ერთეულში, თელავის მუნიციპალიტეტის ქალაქ თელავში (ზონა: 53; სექტორი: 20), თერჯოლის მუნიციპალიტეტის ზედა საზანოს (ზონა: 33; სექტორი: 18), ბარდუბანისა (ზონა: 33; სექტორი: 06) და რუფოთის (ზონა: 33; სექტორი: 11) ადმინისტრაციულ ერთეულებში, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ჟახუნდერისა (ზონა: 87; სექტორი: 06) და ჩიხარეშის (ზონა: 87; სექტორი: 07) ადმინისტრაციულ ერთეულებში, მარნეულის მუნიციპალიტეტის ალგეთის (ზონა: 83; სექტორი: 03), კაჩაგანის (ზონა: 83; სექტორი: 11), ყულარისა (ზონა: 83; სექტორი: 08) და კაპანახჩის (ზონა: 83; სექტორი: 06) ადმინისტრაციულ ერთეულებში, მარტვილის მუნიციპალიტეტის ქალაქ მარტვილში (ზონა: 41; სექტორი: 09), დიდი ჭყონისა (ზონა: 41; სექტორი: 15) და აბედათის (ზონა: 41; სექტორი: 05) ადმინისტრაციულ ერთეულებში, სიღნაღის მუნიციპალიტეტის ვაქირის (ზონა: 56; სექტორი: 02), წნორის (ზონა: 56; სექტორი: 04), ჯუგაანის (ზონა: 56; სექტორი: 06), ბოდბისხევისა (ზონა: 56; სექტორი: 05) და საქობოს (ზონა: 56; სექტორი: 03) ადმინისტრაციულ ერთეულებში, ტყიბულის მუნიციპალიტეტის კურსების (ზონა: 39; სექტორი: 07) ადმინისტრაციულ ერთეულში, ქარელის მუნიციპალიტეტის ზემო ხვედურეთის (ზონა: 68; სექტორი: 17), ზღუდერისა (ზონა: 68; სექტორი: 09) და ბრეთის (ზონა: 68; სექტორი: 11) ადმინისტრაციულ ერთეულებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის (ზონა: 20; სექტორი: 37) ადმინისტრაციულ ერთეულში, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მუხურის (ზონა: 46; სექტორი: 10) ადმინისტრაციულ ერთეულში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ლიას (ზონა: 47; სექტორი: 02) ადმინისტრაციულ ერთეულში, ჭიათურის მუნიციპალიტეტის ქვაციხეს (ზონა: 38; სექტორი: 02), კაცხის (ზონა: 38; სექტორი: 03), ხრეითის (ზონა: 38; სექტორი: 01), ვაჭევისა (ზონა: 38; სექტორი: 04) და რგანის (ზონა: 38; სექტორი: 05) ადმინისტრაციულ ერთეულებში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ახალშენის (ზონა: 22; სექტორი: 23) ადმინისტრაციულ ერთეულში, მცხეთის მუნიციპალიტეტის ქალაქ მცხეთაში (ზონა: 72; სექტორი: 07), ცხვარიჭამიასა (ზონა: 72; სექტორი: 05) და საგურამოს (ზონა: 72; სექტორი: 06) ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე მიწის ნაკვეთების საკადასტრო აღწერისა და მონაცემების დამუშავების შედეგად შედგენილი საკადასტრო რუკები, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეთა/საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირთა და მოსარგებლეთა მონაცემები, სარეგისტრაციო ბლოკების გეგმები, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეთა/მოსარგებლეთა ნუსხისა და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების დაწყებისა და დასრულების თარიღის მითითებით, საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.napr.gov.ge), slr.napr.gov.ge, ახალციხის, ახმეტის, ბაღდათის, გორის, გურჯაანის, დუშეთის, ვანის, ზუგდიდის, თელავის, თერჯოლის, ლენტეხის, მარნეულის, მარტვილის, სიღნაღის, ტყიბულის, ქარელის, ქობულეთის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ჭიათურის, ხელვაჩაურისა და მცხეთის მუნიციპალიტეტების ვებგვერდზე, ახალციხის მუნიციპალიტეტის პამაჯის, ფერსასა და წყრუთის ადმინისტრაციულ ერთეულებში, ახმეტის მუნიციპალიტეტის ქალაქ ახმეტაში, ბაღდათის მუნიციპალიტეტის დიმისა და საირმეს ადმინისტრაციულ ერთეულებში, გორის მუნიციპალიტეტის ქალაქ გორში, მეჯვრისხევის, ზეღდულეთის, კარალეთის, ბერბუკისა და ახალუბანის ადმინისტრაციულ ერთეულებში, გურჯაანის მუნიციპალიტეტის კარდენახისა და ჭანდარის ადმინისტრაციულ ერთეულებში, დუშეთის მუნიციპალიტეტის ჭოპორტის, ბაზალეთის, ჭონქაძისა და მჭადიჯვარის ადმინისტრაციულ ერთეულებში, ვანის მუნიციპალიტეტის სულორის ადმინისტრაციულ ერთეულში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდსა და ნარაზენის ადმინისტრაციულ ერთეულში, თელავის მუნიციპალიტეტის ქალაქ თელავში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის ზედა საზანოს, ბარდუბანისა და რუფოთის ადმინისტრაციულ ერთეულებში, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ჟახუნდერისა და ჩიხარეშის ადმინისტრაციულ ერთეულებში, მარნეულის მუნიციპალიტეტის ალგეთის, კაჩაგანის, ყულარისა და კაპანახჩის ადმინისტრაციულ ერთეულებში, მარტვილის მუნიციპალიტეტის ქალაქ მარტვილში, დიდი ჭყონისა და აბედათის ადმინისტრაციულ ერთეულებში, სიღნაღის მუნიციპალიტეტის ვაქირის, წნორის, ჯუგაანის, ბოდბისხევისა და საქობოს ადმინისტრაციულ ერთეულებში, ტყიბულის მუნიციპალიტეტის კურსების ადმინისტრაციულ ერთეულში, ქარელის მუნიციპალიტეტის ზემო ხვედურეთის, ზღუდერისა და ბრეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ლიას ადმინისტრაციულ ერთეულში, ჭიათურის მუნიციპალიტეტის ქვაციხეს, კაცხის, ხრეითის, ვაჭევისა და რგანის ადმინისტრაციულ ერთეულებში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ახალშენის ადმინისტრაციულ ერთეულში, მცხეთის მუნიციპალიტეტის ქალაქ მცხეთაში, ცხვარიჭამიასა და საგურამოს ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიებსა და ადმინისტრაციულ შენობებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე, იუსტიციის სახლებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ეთხოვოს უზრუნველყოს წინამდებარე გადაწყვეტილების საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოცხადება;

3. საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული დეპარტამენტის ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამსახურს ეთხოვოს უზრუნველყოს წინამდებარე გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადება ახალციხის, ახმეტის, ბაღდათის, გორის, გურჯაანის, დუშეთის, ვანის, ზუგდიდის, თელავის, თერჯოლის, ლენტეხის, მარნეულის, მარტვილის, სიღნაღის, ტყიბულის, ქარელის, ქობულეთის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ჭიათურის, ხელვაჩაურისა და მცხეთის მუნიციპალიტეტებში არსებულ ყველა იუსტიციის სახლებსა და საჯარო რეესტრის ფილიალებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა;

4. ახალციხის, ახმეტის, ბაღდათის, გორის, გურჯაანის, დუშეთის, ვანის, ზუგდიდის, თელავის, თერჯოლის, ლენტეხის, მარნეულის, მარტვილის, სიღნაღის, ტყიბულის, ქარელის, ქობულეთის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ჭიათურის, ხელვაჩაურისა და მცხეთის მუნიციპალიტეტების მერიებს ეთხოვოთ უზრუნველყონ აღნიშნული ინფორმაციის განთავსება საკუთარ ვებგვერდებზე, ყველა ადმინისტრაციული ერთეულის არსებულ მერიისა და ადმინისტრაციულ შენობებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსი — ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად — ლაშა ექიზაშვილი